პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 170 (4680)

1972 წ. 30 აგვისტო, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ლ. ტურიშჩევა



თ. ლაზაკოვიჩი



ო. კორბუტი



ლ. ბურდა



ე. სადი



ა. კოშელი

# საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალების ბრწყინვალე წარმატება

## გამარჯვებათა ტრადიციის გაგრძელება

როცა თ. ლაზაკოვიჩი ეფექტური პირუეტით ჩამოხტა ძელიდან, მეგობრებმა კინაღამ დაახრჩვეს ხვევნა-კოცნით. თუმცა ლ. ტურიშჩევა იარაღთან ჯერ კიდევ არ იყო მისული, ქალიშვილები სიხარულს ვერ ფარავდნენ. მათ უკვე თამამად შეეძლოთ თავი ოლიმპიადის ჩემპიონებად ჩაეთვალათ. სანუკვარ ცერემონიამდე, როცა სპორტსმენი ხელში ოლიმპიური მედლის სიმძიმეს გრძნობს და დარბაზში მისი სამშობლოს ჰიმნი გაისმის, სულ რამდენიმე წუთი რჩებოდა...

მოგვიანებით, პრეს-კონფერენციაზე, ლ. ლატინინა იტყვის: „მწვრთნელები ნასიამოვნები და გაოცებული ვართ, იმდენად გაუსწრეს ჩვენებმა მეტოქეებს". მაგრამ ეს სიტყვები არ ნიშნავს, რომ ბრძოლა იოლი იყო. ასეთი რამ ოლიმპიადის სარბიელზე საერთოდ არ ხდება. გადამწყვეტი დღისთვის საბჭოთა ტანმოვარჯიშეები გდრ-ის სპორტსმენებს 1,85 ქულით უსწრებდნენ,

(დასასრული მე-2 გვ.).

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ზ. ჯაფარიძე მიუნხენიდან გვატყობინებს:

# კომპიუტერიც კი დაიბნა

XX ოლიმპიური თამაშების მესამე დღეს ასპარეზობაში ჩაებნენ კიდევ ორი სახეობის წარმომადგენლები: მოცურავეები და ოლიმპიადის დებიუტანტები — სლალომისტი ნიჩბოსნები. ამიტომ სპორტის მოყვარულებს ძნელი ამოცანა ჰქონდათ გადასაწყვეტი: პროგრამის 14 ნომრიდან რომლისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა, მით უმეტეს, დღეს — 28 აგვისტოს — მედლების 9 კომპლექტი უნდა გათამაშებულიყო.

ძვირფასი „საჩემპიონო სუვენირი" პირველმა 22 წლის ფხენიანელმა არმიელმა ლი ხო ჯუნმა მოიპოვა, რომელსაც ეკუთვნის კიდევ ერთი სენსაცია სასროლეთზე (პირველი სენსაცია შვედი რ. სკანაკერის გამარჯვება იყო. სხვათა შორის, ყველა „ყოვლისმცოდნე" სარეკლამო კომპიუტერს მივარდა. დისპეტჩერმა გოგონამ კლავიშებზე ჩემპიონის სახელი აკრიფა და ცდა დაიწყო. საინფორმაციო მანქანის ეკრანმა იქვე გაიმეორა: „რაგნარ სკანაკერი", ხოლო თავის მხრივ დასძინა ორად ორი სიტყვა: „მამრობითი სქესი". შემდეგ რაღაც სტრიქონები გამოჩნდა და ბოლოს მანქანამ უმწეოდ აღიარა: „სხვა არავითარი ცნობა არა მაქვს". კომპიუტერის მუშაობის შესამოწმებლად გოგონამ 59-ე ადგილზე გასული ნონაწილის, ბრიტანეთის გონდურასის წარმომადგენლის ოუენ ფილიპსის სახელი აკრიფა. ეკრანზე მყისვე ათიოდე დაწვრილებითი მონაცემები აუტსაიდერზე — მანქანამ დაწერა მისი შედეგები წინა შეჯიბრებებში, სიმაღლე, წონა, გატაცებები, ოჯახური ამბებიც კი. ასე გაოგნებული დატოვა ახალმა ჩემპიონმა ადამიანებიც და მანქანებიც).

ლი ხო ჯუნი პირველად გამოდიოდა ასეთი მასშტაბის ასპარეზობაში (მისი სპორტული სტაჟი სულ ოთხი წელია), მაგრამ ბევრი სახელოვანი მეტოქე ჩამოიტოვა — მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში 599 ქულა მოაგროვა და ოლიმპიური რეკორდიც დაამყარა. საერთოდ, თამაშების ისტორიაში ეს პირველი ოლიმპიური მედალია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისთვის.

ორშაბათს საბჭოთა მოკრივეებიდან რინგზე პირველი გ. ივანოვი (48 კგმდე) გამოვიდა. მისი მეტოქე არგენტინელი კ. ლეიესი იყო. მან გაუძლო 36 წლის ვოლგოგრადელი ატლეტის პირველ შეტევას, მესამე რაუნდში კი, როცა ივანოვი დაიღალა, იერიშზე გადასვლაც კი სცადა. და მაინც, საბჭოთა ჩემპიონის უპირატესობა არც მაყურებლებს ეეჭვებოდათ, არც მსაჯებს, რომლებმაც ერთხმად მიაკუთვნეს მას გამარჯვება.

ფინალის გზაზე პირველი ზღუდე გადალახა ქვემძიმეწონოსანმა ნ. ანფიმოვმა, რომელმაც ქულებით აჯობა ძლიერ ბულგარელ მოკრივეს გ. სტანკოვს.

ძალიან შთამბეჭდავი იყო ამერიკელ მოცურავეთა ოლიმპიური სტარტი. სამ წინასწარ გაცურვაში 200 მეტრზე ბატერფლაით მათ ზედიზედ გააუმჯობესეს ოლიმპიური რეკორდი. საბოლოო ჯამში საუკეთესო შედეგი აქვს მარკ სპიტცს — 2.02,11.

გაცურვებში ორჯერ იყო პირველი ცნობილი ავსტრალიელი სპორტსმენი შეინ გოულდი — 200 მეტრზე კომპლექსურ და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში, სადაც ოლიმპიური რეკორდი დაამყარა — 59,44.

ნ. პეტროვამ მოიგო 200 მეტრზე პირველი კომპლექსური გაცურვა (2.27,2), მაგრამ ეს დღის მეცხრე შედეგი იყო, ფინალში კი რვა მონაწილე გადის. პეტროვას მანძილი 0,29 წამით უფრო სწრაფად უნდა გაეცურა. 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში პირველი იყო ი. გრივენიკოვიც — 1.00,05. მან მხოლოდ 0,04 წამი წააგო მეორე წინასწარ გაცურვაში გამარჯვებულთან, გდრ-ის სახელგანთქმულ წარმომადგენელ რ. მათესთან. ორივემ გააგრძელა ნახევარფინალში ბრძოლა. მათესმა მოიგო ნახევარფინალი, გრივენიკოვი კი მესამე იყო ორი ამერიკელის შემდეგ. გაიმარჯვა მ. აივიმ, რომელმაც ოლიმპიური რეკორდი დაამყარა — 57,99.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მეორე იყო ტ. ზოლოტნიცკაია — 1.01,24 (0,84 წამით ჩამოუვარდება გამარჯვებულის — გდრ-ის სპორტსმენ გ. ვეცკოს შედეგს). ისიც ნახევარფინალში გავიდა.

4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში დღის მეორე შედეგი აჩვენა სსრ კავშირის გუნდმა (ვ. ბურე, ვ. მაზანოვი, ვ. აბოიმოვი და გ. კულიკოვი) — 3.32,73. ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი აქვს ამერიკის გუნდს — 3.28,84.

წარმატებით განაგრძობენ ჭიდილს საბჭოთა ათლეტები: გ. სტრახოვმა აშკარა უპირატესობით დაამარცხა რ. ჩანდღი (ინდოეთი), ი. გუსოვმა ქულებით მოუგო კანადელ ა. ვურს, ა. მედვედმა — სახელგანთქმულ თურქ იალმაზს, ლ. თედიაშვილმა — თ. არტაგს (მონღოლეთი).

დღეს ყველაზე ეფექტური იყო ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსანთა შეჯიბრება აუგსბურგის საწყლოსნო სლალომის ტრასაზე. ეს ტრასა სპეციალურად მოაწყვეს ოლიმპიური თამაშებისთვის. 800-მეტრიანი დაკლაკნილი არხის გასწვრივ აღმართულ ტრიბუნებზე 25 ათასი მაყურებელი იჯდა. წყლის ზედაპირზე პატარა ფერად-ფერადი ნავები გამოჩნდა. ტრასაზე 30 კარი იყო (ზოგ კარში ნავები „უკან სვლით" უნდა შესულიყვნენ).

ერთადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში გაიმარჯვა გდრ-ის წარმომადგენელმა ზ. ჰორნმა. ბრინჯაოს მედალიც გდრ-ის გუნდის წევრმა ჰ. გიმპელმა მიიღო, რომელმაც წინ გაუშვა ავსტრიელი ნ. სატლერი. საბჭოთა გუნდიდან გამოდიოდა გ. ნასყიდაშვილი, რომელიც 31-ე ადგილზეა (სულ 37 კაცი მონაწილეობს). ერთადგილიანი კანოეებით შეჯიბრებაში გაიმარჯვა გდრ-ის სპორტსმენმა რ. აიბენმა.

28 აგვისტო.



ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირისა და იტალიის წყალბურთელთა მატჩის მომენტი.

საკდესის ტელეფოტო.

# გამარჯვებით დაიწყეს

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა თავისი სასტარტო მატჩი მოუგო ბირმის გუნდს ქალაქ რეგენსბურგში, მიუნხენის მახლობლად. გოლი 51-ე წუთზე გაიტანა კოლოტოვმა. მან 20 მეტრიდან დაარტყა არც ისე ძლიერად, მაგრამ ზუსტად. ბირმელთა მეკარე ტინ აუნგი, რომელმაც საერთოდ ძალიან კარგად ითამაშა, ამჯერად გაოგნებული დარჩა.

თამაში საბჭოთა ფეხბურთელთა იერიშებით დაიწყო. ბირმელების წყობა ცოტა უჩვეულო იყო: 3+2+5. საბჭოთა ფეხბურთელები დამაჯერებლად სძლევდნენ შუა მინდორს, მცველიც კი ცენტრალურ ხაზზე დადგომის უფლებას აძლევდა თავს, მაგრამ საჯარიმო მოედანზე ზედიზედ კარგავდნენ ბურთს. კოლოტოვმა შესვენებამდე მხოლოდ ერთხელ დაარტყა ხელსაყრელი მდგომარეობიდან კარში, როცა მეკარემ წინდაუხედავად დატოვა პოსტი, მაგრამ მცველმა ერთი თითქმის კარის ხაზიდან მოიგერია.

ბირმელებმა პირველ ტაიმში სულ ორჯერ დაარტყეს მეტოქის კარში. ორივე დარტყმა ძალიან სახიფათო იყო, მაგრამ რუდაკოვი ფხიზლად იდგა.

შესვენებისას საბჭოთა გუნდის მწვრთნელებმა ა. პონომარიოვმა და გ. ზონინმა, როგორც ჩანს, შეძლეს შესწორება შეეტანათ ფეხბურთელთა მოქმედებაში. თამაში გამოსწორდა და აი, კოლოტოვმა დაარტყა...

ფეხბურთელ ოლიმპიელთა ჩამოსვლა დიდ მოვლენად იქცა ძველი პროვინციული ქალაქის ცხოვრებაში, სადაც მანქანას ველოსიპედი ჯერ არც კი შეუცვლია, ხოლო ცენტრში ცათამბჯენებმა ვერ განდევნეს ციხესიმაგრის კოშკები. ესაა, რომ სპორტსმენებს ლამაზი ქალაქით ტკბობის საშუალება ღირსეულად არ ჰქონიათ — ისინი მიუნხენიდან სპეციალური მატარებლით ჩამოვიდნენ. თამაშის დაწყებამდე დარჩენილ ორ საათში პატარა ვარჯიში ჩაატარეს, ნახეს მინდორი, სადაც მწვანე კორდი ახალი აბიბინებული იყო.

მწვრთნელებმა ასეთი შემადგენლობა გამოიყვანეს: რუდაკოვი, საბო, კაპლიჩნი, ისტომინი, ძოძუაშვილი, კუკსოვი, ანდრიასიანი, კოლოტოვი, ონიშჩენკო (ბლოხინი), ელისეევი, ევრიუჟიხინი.

სსრ კავშირის ნაკრებს შემდეგი მატჩი 30 აგვისტოს ექნება მიუნხენის მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე სუდანის გუნდთან, რომელმაც ორშაბათს მექსიკელებთან წააგო — 0:1.

ვ. კუკუშკინი.
(საკდესის სპეც. კორ.).

რეგენსბურგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

München-72

## გამარჯვებათა ტრადიციის გაგრძელება

დასასრული

მაგრამ ეს „დისტანცია" ყოველ წუთს შეიძლებოდა შემოკლებულიყო...

ორი ლიდერი გუნდის მეტოქეობას უდიდესი ინტერესით ადევნებდა თვალს მთელი „შპორტჰალე". 11 ათასი მაყურებელი ნამდვილი ტანვარჯიშული სპექტაკლის მოწმე გახდა. ეს სპექტაკლი 28 აგვისტოს გვიან საღამოს დაიწყეს საბჭოთა სპორტსმენებმა თავისუფალი ვარჯიშის შესრულებით. ნებისმიერი კომპოზიციები ერთიმეორეზე ლამაზი იყო. მქუხარე ტაში გამოიწვია 17 წლის ოლგა კორბუტის ყოვნით მალაყმა. გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრი მაყურებელთა რჩეული გახდა. ორძელზე კი იგი შეუდარებელი იყო. კორბუტის უნიკალურ ელემენტებს სახელი არც შეიძლება ეწოდოს. სამწუხაროა, რომ მსაჯები მეტისმეტად მკაცრად მოეკიდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს. კორბუტმა მხოლოდ 9,7 ქულა მიიღო.

გდრ-ის სპორტსმენებმა ყველაზე რთული იარაღით — დვირით დაიწყეს. კარინ იანცმა საერთო ყულაბაში 9,5 ქულა შეიტანა. ეს ჯერჯერობით უმაღლესი შეფასება იყო ამ იარაღზე. შემდეგ გერმანელებმა თავისუფალი ვარჯიში დაიწყეს, სადაც საბჭოთა გუნდთან მხოლოდ 0,35 ქულა წააგეს. ბჯენით ხტომაში მათ თითქმის მოსპეს ეს სხვაობა.

გაისმა სიგნალი იარაღების შესაცვლელად. გდრ-ის ბოლო იმედი ორძელი იყო. შეფასებებიც მაღალი გახლდათ, მაგრამ ვინ მოიფიქრებდა, რომ საბჭოთა გუნდი „ვერაგ დვირზე" დღემდე მიუღწეველ შედეგს მიაღწევდა — 48,20 ქულას. საუკეთესო შეფასება მიიღეს კორბუტმა, ლაზაკოვიჩმა, ტურიშჩევამ — 9,75. ლატინინა ამბობს: „არ მახსოვს, რომ ჩვენს გუნდში ერთბაშად სამ მონაწილეს ასეთი მაღალი შეფასება მიეღოს დვირზე".

საბოლოო ციფრები მოწმობს ჩემპიონთა დამაჯერებელ გამარჯვებას — 380,5 ქულა. გდრ-ის გუნდის შედეგი 3,95 ქულით ნაკლებია.

აი, 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონები: ა. კოშელი (მინსკი), ე. საადი (ტაშკენტი), ლ. ბურდა (ვორონეჟი), თ. კორბუტი (გროდნო), თ. ლაზაკოვიჩი (ვიტებსკი), ლ. ტურიშჩევა (გროზნო). მათ გააგრძელეს ოლიმპიადებში საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალების გამარჯვებათა ტრადიცია.

ლიდერთა დავის წინ დრამატულად გადაწყდა ბრინჯაოს მედლის ბედი. წინადღით, სავალდებულო პროგრამით შეჯიბრების დროს, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის გუნდებმა ერთნაირი ქულები დააგროვეს. ახალგაზრდა უნგრელი სპორტსმენები თავგანწირვით იბრძოდნენ. ისინი განსაკუთრებით ბრწყინავდნენ თავისუფალ ვარჯიშში. და აი, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო პირველობათა მრავალგზის პრიზიორები შეკრთნენ. ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებს იმედი იმავე დვირმა გადაუწურა. სამი ტანმოვარჯიშე კომპოზიციის შესრულების დროს ჩამოვარდა კიდეც ამ იარაღიდან...

უნგრეთის გუნდმა ბრინჯაოს მედლები მიიღო — 368,25 ქულა დააგროვა. ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა ამერიკელებთანაც წააგეს 0,9 ქულით.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეებიდან პრაქტიკულად მხოლოდ კოშელმა დაკარგა აბსოლუტური ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი (ამასთან, მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში მედლებისთვის ბრძოლისაც). I-II ადგილებს იყოფენ ტურიშჩევა და იანცი — 38,425-38,425. შემდეგ მოდიან: კორბუტი — 38 35, ლაზაკოვიჩი — 38,2, ე. ცუხოლდი (გდრ) — 38,0, ბურდა — 37,675, ა. ჰელმანი (გდრ) — 37,65, საადი — 37,325. ეს შედეგები მრავალჭიდის ჩათვლაში შევა.

ა. სტაროდუბი.
(საქდესის კორ.).

მიუნჰენი.

## თამამი გამოწვევა

ოლიმპიური აუზის სტადიონზე ნემსი არ ჩავარდებოდა. ბუზის გაფრენას გაიგონებდი. ამდენად მიმზიდველი იყო შეჯიბრება 4 × 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში. სტარტზე ერთიმეორის გვერდზე იდგნენ მოსკოველი ვ. ბურე და ამერიკელი დ. ედჯერი. გასროლის ხმაზე სპორტსმენები ისარივით გადაეშვნენ წყალში. ათი მეტრი, ოცი, ოცდაათი... საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენები მხარდამხარ მიცურავენ, ერთდროულად ეხებიან აუზის კედელს და ასევე შეთანხმებულად აგრძელებენ გზას. ტრიბუნები გუგუნებს. ცურვის სამყაროს „მოდის კანონმდებლები" — ამერიკელები ოლიმპიურ თამაშეში თითქმის პირველად წააწყდნენ ასეთ წინააღმდეგობას და ისიც არა ძველი მეტოქეების — ავსტრალიელების მხრიდან.

„ორხელისუფლებიანობა" მეორე ეტაპზეც გაგრძელდა, როცა ჯ. მორფის მოსკოველი ვ. მაზანოვი შეეჯიბრა.

დანარჩენი გუნდები პრაქტიკულად უკვე ველარ განაცხადებდნენ პრეტენზიას ოქროსა და ვერცხლის ჯილდოებზე, მხოლოდ ბრინჯაოს მედლისთვის თუ იასპარეზებდნენ.

აშშ-ს მოცურავეები მხოლოდ მესამე ეტაპზე დაწინაურდნენ, მაგრამ აქ ყარაგანდელმა ვ. აბოიმოვმა, ხოლო მეოთხე ეტაპზე მოსკოველმა ი. გრივენიკოვმა მაინცდამაინც წინ არ გაუშვეს მეტოქეები.

ფინიშზე საბჭოთა გუნდს ელოდა საპატიო ვერცხლის მედლები, აგრეთვე, ევროპის რეკორდი — 3.29,72.

ამერიკელთა კვარტეტი ფინიშთან მსოფლიო რეკორდით მივიდა — 3.26,42.

## „აფროსანთა ოლიმპიადა" გაიხსნა

ქილი, 28 აგვისტო. ამ ქალაქში, სადაც ხვალ აფროსანთა შეჯიბრებები დაიწყება, ოლიმპიური ცეცხლი აინთო.

ქალაქის 30 ათასზე მეტმა მცხოვრებმა მოიცვა თავი შილკზეეს რაიონში, სადაც ოლიმპიური ფიალა დგას. მშვენიერი, მზიანი ამინდი იყო. ნავსადგურში ალლუმის მონაწილეებით ჩამწკრივებულიყო 152 იფთრაფრიანი ნავი. კილში ჩამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი. გაერთიანებულმა ორკესტრმა შეასრულა ასპარეზობის მონაწილე 42 ქვეყნის მუსიკალური ნაწარმოებებისგან შედგენილი პროგრამა. ბრენდეჯმა „აფროსანთა ოლიმპიადა" გახსნილად გამოაცხადა.

... 43 საათი იყო გასული მიუნხენში ოლიმპიური თამაშების დაწყებიდან, როცა შილკზეეს რაიონში გამოჩნდა ახოვანი ჭაბუკი ჩირაღდნით ხელში. მან დაამთავრა ესტაფეტა მორბენლებისა, რომელთაც ჩირაღდანი 15 კილომეტრზე ატარეს კილის რატუშიდან აფროსანთა ოლიმპიადის ადგილამდე. გაისმა გემების საყვირების ხმა — ისინი კილში XX ოლიმპიური თამაშების გახსნას მიესალმებოდნენ. შეჯიბრების გახსნის ცერემონია დაამთავრეს პარაშუტისტებმა, რომლებიც 2500 მეტრიდან ხტებოდნენ. ცა აფერადდა პარაშუტის გუმბათებით, რომელთა უკანაც ხუთი რგოლით დამშვენებული ოლიმპიური დროშები მოჩანდა.

... ოლიმპიური ცეცხლი მიუნხენიდან აქ ასპარეზობის დაწყების წინადღით ჩამოიტანეს. მასთან შეხვედრა ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ჩირაღდანმა მიუნხენიდან კილამდე სამ დღეზე ნაკლებ დროში 900 კილომეტრზე მეტი გაიარა. ამ უჩვეულო ესტაფეტაში 120 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ მორბენლები, მოტოციკლისტები, ცხენოსნები, ველოსიპედისტები და ნიჩბოსნებიც კი.

ი. მასლოვი.
(საქდესის კორ.).

## თავი გამოიჩინეს

28 აგვისტოს თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატები ფარიკაობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამ დღეს საბჭოთა სპორტსმენები ბ. ონიშჩენკო, პ. ლედნიოვი და ვ. შმელიოვი მართლაც საუცხოოდ ასპარეზობდნენ. მსოფლიო ჩემპიონმა ონიშჩენკომ საუკეთესო შედეგს მიაღწია — 1076 ქულა დააგროვა, საბჭოთა გუნდმა კი 3060 ქულა.

ამ წარმატებით სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ორმაგად აინაზღაურეს პირველი დღის (ცხენოსნური კროსი) „ზარალი" და ორი სახეობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობა იგდეს ხელთ — 5985 ქულა. ისინი 190 ქულით უსწრებენ II ადგილზე მყოფ უნგრეთის ნაკრებს.

## დღეს

კალათბურთი (წინასწარი მატჩები).

კრივი (წინასწარი შეხვედრები. პირველი წრე).

კლასიკური ჭიდაობა (წინასწარი შეხვედრები).

ფრენბურთი (წინასწარი მატჩები).

ტანვარჯიში (პირადი პირველობა. მრავალჭიდი. ქალები, ვაჟები)*.

საწყლოსნო სლალომი (ერთადგილიანი ბაიდარა — ქალები, ორადგილიანი კანოე — ვაჟები)*.

ცხენოსნური სამჭიდი (სამანეჟო სვლა).

აფროსნობა (მეორე რბოლა).

ცურვა (ფინალები: 4 × 100 მ თავისუფალი სტილი, 400 მ თავისუფალი სტილი — ქალები; 400 მ კომპლექსური, 100 მ ბრასი — ვაჟები)*.

წყალში ხტომა (ფინალი. ტრამპლინი — ვაჟები)*.

წყალბურთი (წინასწარი მატჩები).

ხელბურთი (წინასწარი მატჩები).

თანამედროვე ხუთჭიდი (ცურვა).

ტყვიის სროლა (მცირეკალიბრიანი შაშხანა, სტანდარტი 3 × 40)*.

ძალოსნობა (მსუბუქი წონა)*.

ფარიკაობა (ვაჟების პირადი შეჯიბრება. ხმალი. წინასწარი შეჯიბრება. რაპირა. ფინალი)*.

ფეხბურთი (წინასწარი მატჩები).

გათამაშდება 12 ოქროს მედალი (იხ. ვარსკვლავით აღნიშნული სახეობები).

## საპატიო კვარცხლბეკის ლაურეატები

მხოლოდ ტელეგრაფული შედეგები...

28 აგვისტო

საწყლოსნო სლალომი. ერთადგილიანი ბაიდარა. ვაჟები.

1. ზიგბერგ ჰორნი (გდრ) — 268,56 საჯარიმო ქულა; 2. ნორბერტ სატლერი (ავსტრია) — 270,76; 3. ჰარალდ გიმპელი (გდრ) — 277,76... 31. გ. ნასყიდაშვილი (სსრ კავშირი).

ერთადგილიანი კანოე. ვაჟები.

1. რაინჰარდ აიბენი (გდრ) — 327,50 საჯარიმო ქულა; 2. რაინჰოლდ კაუდერი (გფრ) — 327,89, 3. ჯეიმი მაკევანი (აშშ) — 335,95.

ტანვარჯიში. გუნდური შეჯიბრება. ქალები.

1. სსრ კავშირი (ლ. ტურიშჩევა, თ. ლაზაკოვიჩი, ლ. ბურდა, ო. კორბუტი, ა. კოშელი, ე. საადი) — 380,50 ქულა; 2. გდრ — 376,55; 3. უნგრეთი — 368,25.

ძალოსნობა. მჩატე წონა.

1. იმრე ფიოლდი (უნგრეთი) — 377,5 კგ (127,5+107,5+142,5) — მსოფლიო რეკორდი, 2. მოჰამედ ნასირი (ირანი) — 370 (127,5+100+142,5); 3. გენადი ჩეტინი (სსრ კავშირი) — 367,5 (120+107,5+140).

იაპონელმა კოძი მიკიმ მეოთხე, დამატებით ცდაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ატაცში — 114 კგ. ეს შედეგი ნახევარი კილოგრამით აღემატება მისსავე მიღწევას, რომელიც მიკიმ თითქმის ამ ოთხი წლის წინ დაამყარა.

წყალში ხტომა. ტრამპლინი. ქალები.

1. მიკი კინგი (აშშ) — 450,03 ქულა; 2. ულრიკა კნაპე (შვეცია) — 434,19; 3. მარინა იანიკე (გდრ) — 430,19.

საბჭოთა სპორტსმენებმა ნ. კუზნეცოვამ, ტ. შტირიოვამ და თ. საფონოვამ წინასწარ შეჯიბრებებში შესაბამისად მე-14, მე-16 და მე-17 ადგილები დაიკავეს და ფინალის მიღმა დარჩნენ.

ცურვა. თავისუფალი სტილით 4 × 100 მეტრზე ესტაფეტა. ვაჟები.

1. აშშ — 3.26,42 (მსოფლიო რეკორდი); 2. სსრ კავშირი (ვ. ბურე, ვ. მაზანოვი, ვ. აბოიმოვი, ი. გრივენიკოვი) — 3.29,72 (ევროპის რეკორდი); 3. გდრ — 3.32,42.

200 მ ბატერფლაით. ვაჟები.

1. მარკ სპიტცი — 2.00,7 (მსოფლიო რეკორდი); 2. გერი ჰოლი — 2,02,86, 3. რობინ ბეკჰაუსი (სამივე — აშშ) — 2.03,23.

200 მ კომპლექსური. ქალები.

1. შეინ გოულდი (ავსტრალია) — 2.23,07 (მსოფლიო რეკორდი); 2. კორნელია ენდერი (გდრ) — 2.23.59 (ევროპის რეკორდი), 3. ლინ ვიდალი (აშშ) — 2.24,06.

საბჭოთა სპორტსმენი ბ. უეკურაიტიტე წინასწარ გაცურვაში გამოეთიშა ბრძოლას. მისი შედეგია 2.31,11.



შ. გოულდი



მ. სპიტცი

## „დიდი თეატრის შესაფერისი კომპოზიცია"

პარიზი, 29 აგვისტო. „საბჭოთა ტანვარჯიშის სკოლის ბრწყინვალე გამარჯვება", — ასე შეაფასა მიუნხენში ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა წარმატება სსრ კავშირის სპორტსმენი ქალებისა, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებში გუნდური ოქროს მედალი მოიპოვეს.

კორესპონდენტი წერს, რომ საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებმა ზედიზედ მეექვსედ გაიმარჯვეს ოლიმპიადებში და ბრწყინვალედ დაადასტურეს თავიანთი უპირატესობა, რომელიც ჯერ ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებიდან მოდის.

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ქალიშვილებმა პირდაპირ მოაჯადოვეს მრავალრიცხოვანი მაყურებელი „შპორტჰალეში", სადაც ვერც ერთ თავისუფალ ადგილს ვერ ნახავდით. „ეს იყო გრაციისა და გამბედაობის ფესტივალი". სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალები დიდებულად გამოვიდნენ თავისუფალ ვარჯიშში, სადაც „ცეკვისა და აკრობატიკის რიტმული ჰარმონია", „დიდი თეატრის შესაფერისი კომპოზიცია" გვიჩვენეს.

საბჭოთა კავშირს ტანვარჯიშის სამი დიდებული ვარსკვლავი ჰყავს: ღვთაებრივი ლ. ტურიშჩევა, რომანტიკული თ. ლაზაკოვიჩი და შეუდარებელი ო. კორბუტი, — განაცხადა ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა.

## გუშინ...

◆ 100 კილომეტრზე გუნდურ საგზატკეცილო რბოლაში ოლიმპიური ოქრო საბჭოთა ველოსიპედისტებმა დაისაკუთრეს.

◆ იტალიელმა მესტენდურემ ანჯელო სკალცონემ ოქროს მედალი მოიხვეჭა ადგილიდან სროლაში — 199 ქულა 200-დან. ეს მსოფლიო რეკორდია. II ადგილზეა ფრანგი მიშელ კარეგა (198), III — იტალიელი სილვანო ბაზანი (195).

◆ სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა შესარჩევი ტურნირის მესამე მატჩში ანგარიშით 79:66 (41:28) სძლია იტალიის გუნდს.

◆ საბჭოთა წყალბურთელებმა მორიგ წარმატებას მიაღწიეს — შესარჩევი შეჯიბრების მესამე მატჩიც გამარჯვებით დაამთავრეს: ანგარიშით 7:2 (2:0, 2:1, 2:0, 1:1) დაამარცხეს ბულგარეთის ნაკრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიუნხენი-72

## სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა III ზონა

გატყობინებთ 26 აგვისტოს ჩატარებული ორი მატჩის შედეგებს, რომლებიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული არ ყოფილა: „კოლხეთი" (ფოთი) — „დინამო" (ბათუმი) 1:1, „გურია" (ლანჩხუთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყუბანი" (კრასნოდარი) | 24 | 14 | 7 | 3 | 38—10 | 35 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 23 | 12 | 9 | 2 | 40—18 | 33 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 24 | 15 | 2 | 7 | 35—27 | 32 |
| „დინამო" (ბათუმი) | 24 | 11 | 9 | 4 | 40—26 | 31 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 25 | 12 | 5 | 8 | 29—23 | 29 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 24 | 10 | 8 | 6 | 35—23 | 28 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 23 | 10 | 7 | 6 | 30—20 | 27 |
| „დილა" (გორი) | 25 | 9 | 9 | 7 | 25—20 | 27 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 25 | 8 | 10 | 7 | 24—28 | 26 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 24 | 10 | 5 | 9 | 22—18 | 25 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 24 | 9 | 5 | 10 | 30—33 | 23 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 24 | 8 | 6 | 10 | 26—30 | 22 |
| „დინამო" (სოხუმი) | 23 | 6 | 8 | 9 | 24—32 | 20 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 24 | 6 | 8 | 10 | 23—31 | 20 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 24 | 7 | 5 | 12 | 27—38 | 19 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 23 | 6 | 6 | 11 | 21—28 | 18 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 25 | 4 | 8 | 13 | 19—35 | 16 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 25 | 2 | 10 | 13 | 19—35 | 14 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 25 | 5 | 3 | 17 | 21—53 | 13 |

## სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო

26 აგვისტოს ლანჩხუთში შედგა II ლიგის III ზონის გუნდების კალენდარული მატჩი: ადგილობრივი „გურია" მახარაძის „მერცხალს" მასპინძლობდა.

მაგრამ სიტყვა „მასპინძლობა" არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება იმ უღირსად უმსგავსო, აღმაშფოთებელ ამბავს, რაც იმ დღეს ლანჩხუთის სტადიონზე მოხდა. ალვირახსნილ ხულიგანთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც ტრიბუნებზე იყო მოკალათებული მაყურებლებთან ერთად, უღვლად დაუშვებელი საქციელი ჩაიდინა და თავისი გუნდის წაგებით განაწყენებულმა (გაიმარჯვა „მერცხალმა" — 3:2) მატჩის შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯებს.

აღნიშნულ საკითხზე, რა თქმა უნდა, იმსჯელებენ შესაბამისი ორგანოები, ჯერჯერობით კი ლანჩხუთის სტადიონი დისკვალიფიცირებულია. ამიტომ „გურიის" მორიგი კალენდარული შეხვედრა ბათუმის „დინამოსთან" შედგება თბილისში, 30 აგვისტოს.

## სტარტი კარგად აიღეს

ჭამენსკ-შახტინსკი, 29 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალური ტურნირი.

კარგად აიღეს სტარტი თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებმა (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი). პირველ დღეს მათი მეტოქე იყო მინსკის „დინამო". ეს მატჩი უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. თბილისელები დასაწყისშივე დაწინაურდნენ (გაგუა), თუმცა მინსკელებმა მალე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა — 1:1. შემდეგ ჩვენი ფეხბურთელების ხანგრძლივი შეტევები დამთავრდა გიგოლაშვილისა და შელიას ორი გოლით, მაგრამ საკმარისი იყო ყურადღების ოდნავ მოდუნება და მინსკელებმა ორივე გოლი გაქვითეს — 3:3.

თბილისელებმა კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა და ჩხაიძემ ისევ დააწინაურა თავისი გუნდი, მაგრამ მინსკელებმა კიდევ ერთხელ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 4:4. თამაშის დამოვრებას ბევრი აღარაფერი აკლდა, როცა ჩვენი გუნდის ერთ-ერთი იერიშის დროს მინსკელებმა უხეშად მოცელეს საგოლე პოზიციაში გასული გაგუა, რისთვისაც მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. 11-მეტრიანი ზუსტად გამოიყენა იმავე გაგუამ და თბილისელებმა გაიმარჯვეს — 5:4.

ჩვენი გუნდის მორიგი მეტოქე იყო ლენინგრადელთა კოლექტივი. თბილისელებმა კარგად ჩაატარეს ეს მატჩიც და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაგუამ გაიტანა.

წარმატებით თამაშობს ერევნის „არარატიც". ერევნელებმა დაამარცხეს გორკისა (3:1) და ლენინგრადის (1:0) გუნდები.

• • •

ორიოლი, 29 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები აქაც მიმდინარეობს, სადაც საქართველოდან მონაწილეობს თბილისის განათლების განყოფილების გუნდი (მწვრთნელები შ. ბოკუჩავა და თ. მელაშვილი).

ტურნირის სტარტი ქართველ ფეხბურთელთა შესანიშნავი წარმატებით აღინიშნა: პირველ ორ მატჩში მათ კიროვაკანისა (5:1) და ტალინის (6:1) გუნდებს სძლიეს.

## „ბურევესტნიკი" პირველია

რომი, 29 აგვისტო. ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების ცხრილის პირველი სტრიქონი ზედიზედ მეორე წელია დაიკავა საბჭოთა „ბურევესტნიკმა", რომელმაც ფინალურ მატჩში იტალიის „ფიორენტინას" სძლია — 3:0.

## მზრუნველი ხელი სჭირდება

ალექსანდრე გოლდშტეინი... ამ სახელს კარგად იცნობენ კრივის მოყვარულები. წლების მანძილზე გოლდშტეინი წარმატებით ხელმძღვანელობდა ჩვენი რესპუბლიკის მოკრივეთა ნაკრებ გუნდს. ბევრი მისი აღზრდილი სანაქებოდ გამოდიოდა საკავშირო სარბიელზე. ამჟამად ღვაწლმოსილი მწვრთნელი კრივის დარგში არ მოღვაწეობს, მაგრამ დღემდე შერჩა დიდი სიყვარული სპორტის ამ რაინდული სახეობისადმი. გოლდშტეინს ნახავთ ნებისმიერ შეჯიბრებებზე. მას, როგორც კრივის ჩინებულ მცოდნესა და სპეციალისტს, ხშირად იწვევენ დიდ ტურნირებზე. იგი საბჭოთა კავშირის 1972 წლის ჩემპიონატის საკონტროლო კომისიის წევრიც გახლდათ.

როგორც მოგეხსენებათ, წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი „ჩვეულებრივი" არ ყოფილა. იგი მიზნად ისახავდა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე სპორტსმენების დასახელებას. ვფიქრობთ, კრივის მოყვარულთათვის საინტერესო იქნება გოლდშტეინის შთაბეჭდილებები ამ საგულისხმო ჩემპიონატის თაობაზე. რა თქმა უნდა, ავტორი საქართველოს მოკრივეთა წარუმატებლობასა და მის გამომწვევ მიზეზებზე ამახვილებს ყურადღებას.

კიდევ ერთი საკავშირო ჩემპიონატი გახდა საბჭოთა კრივის ისტორიის კუთვნილება. იგი კრივის მატიანეში შევა, როგორც გენერალური რეპეტიცია მიუნხენის ოლიმპიადის წინ.

მართალი გითხრათ, საბჭოთა მოკრივეების ნაკრების მთავარი მწვრთნელი ა. სტეპანოვი საგონებელში იყო. მართლაც, ადვილი როდია ფინალური შეჯიბრების 110 მონაწილეში გამოიცნო ყველაზე ძლიერი, ყველაზე საუკეთესო და სტაბილური 11 „ბედნიერი" სპორტსმენი. ამიტომ, ვფიქრობ, სწორად მოიქცა კრივის საკავშირო ფედერაცია, რომელმაც საგანგებოდ ჩემპიონატისთვის გამოყო საკონტროლო კომისია. კომისიამ დიდი მუშაობა გასწია და ჩემპიონატის შემდეგ დაასახელა საუკეთესო მოკრივეები. საყურადღებოა, რომ ნაკრების წევრებად საკონტროლო კომისიამ შეარჩია ჭეშმარიტად უძლიერესი მოკრივეები, მიუხედავად მათს მიერ ჩემპიონატში მოპოვებული ადგილებისა. დიახ, ეს არის საუკეთესო ნაკრების შექმნის ყველაზე სწორი საშუალება. თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც მთავარ მწვრთნელს ეკუთვნოდა, რომელმაც, ბუნებრივია, გაითვალისწინა საკონტროლო კომისიის რეკომენდაციები.

ყურადღებას იპყრობს ერთი კარდინალური მომენტი: ნაკრების, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეოგრაფია ერთობ ვრცელი გამოდგა. გარდა კრივში ტრადიციულად ძლიერი რესპუბლიკებისა და ქალაქებისა, ამ სახეობის სამყაროში ბევრმა შედარებით „უცნობმა" კუთხემ ჩემპიონატზე ძლიერი მოკრივეები მიავლინა. ფინალურ შეჯიბრებაში რინგზე ვნახეთ ჩიტელი, სევასტოპოლელი, ჟდანოველი, პერმელი, სარატოველი, ბობრუისკელი, ჩერეპოვეცელი, ჩიმკენტელი და სხვა ქალაქების წარმომადგენელი სპორტსმენები, სულ 30 ქალაქის წარგზავნილები.

მით უფრო საწყენი და გულსატკენია, რომ ფინალისტთა შორის არ იყვნენ საქართველოს მოკრივეები. ჩვენი სპორტსმენები და მწვრთნელები თითქოს შეეგუენ აზრს, რომ დიდი შეჯიბრებები საქართველოს მოკრივეთა გარეშე ტარდება.

შემთხვევითია თუ არა ეს? არა. აგერ უკვე რამდენი წელია ჩვენი მწვრთნელები ვერ იჩენენ სათანადო მონდომებას, ვერ ავლენენ საჭირო ცოდნასა და კვალიფიკაციას ნიჭიერ მოკრივეთა აღზრდაში. როგორც ჩანს, სათანადო სიმაღლეზე არ დგას სასწავლო-საწვრთნელი პროცესიც კრივის სექციებში. ამ სექციების მუშაობის უპირველესი ნაკლია ღრმა და მკაფიო გეგმის უქონლობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ნორჩ მოკრივეთა დაოსტატებაზე. წარმოუდგენლად მცირეა საქალაქთაშორისო მატჩებისა და შეხვედრების რიცხვი. ჩვენი მოკრივეები ძალიან იშვიათად ასპარეზობენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ასეთი შეხვედრები კი აკაჟებს მოკრივის მორალურ-ნებელობითს თვისებებს, უნერგავს მას გაბედულებას, მხნეობას და, რაც მთავარია, უჩვეულო პირობებში გამარჯვების მოპოვების უნარს. ნუ გადავაბრალებთ კრივში ჩვენს ჩამორჩენას მხოლოდ მწვრთნელთა შედარებით დაბალ კვალიფიკაციას. როგორც ცნობილია, თანამედროვე კრივის ტექნიკაში აღარაფერია საიდუმლო. კრივის სამყაროში ნაკლებად ცნობილი მწვრთნელები სამარყანდიდან, პერმიდან, ჩერეპოვეციდან და სხვა ქალაქებიდან ზრდიან სსრ კავშირის ნაკრების წევრებსაც კი.

ტექნიკური თვალსაზრისით თანაბრად მომზადებულ მოკრივეთა შეჯიბრებებში ძირითადი როლი ენიჭება მორალურ-ნებელობითს თვისებებსა და მოქნილ, გააზრებულ ტაქტიკას, სწორედ იმ კომპონენტებს, რომლებშიც განსაკუთრებით ჩამორჩებიან ჩვენი მოკრივეები. ჩემი ღრმა რწმენით კი არც ერთ სახეობაში სპორტსმენთა ნებისყოფა, მორალური ფაქტორი ისე არ ფასობს, როგორც კრივში.

ცნობილია, რომ მაღალი კლასის მოკრივეთა მომზადება ურთულესი პროცესია. იგი მოითხოვს უდიდეს შრომისმოყვარეობას, აღსაზრდელთა მიმართ მზრუნველ დამოკიდებულებას, სასწავლო პროცესის გეგმაზომიერებასა და თანმიმდევრობას. ვიმეორებ, ყოველივე ეს ჩინებულადაც რომ შესრულდეს, შრომა მეტწილად წყალში გადაგვეყრება, თუ კი მოკრივეები არ გამოვაწრთეთ სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში. მხოლოდ სასწავლო-საწვრთნელი პროცესისა და შეჯიბრებებში ხშირი მონაწილეობის შეთავსება მოგვცემს სასურველ შედეგს.

ჩვენი მწვრთნელები ხშირად უჩივიან სპორტული ბაზების უკმარობას. ეს, რა თქმა უნდა, აფერხებს კრივის განვითარებას, მაგრამ მთავარ მიზეზად მაინც ვერ მივიჩნევთ. აი, ერთი საგულისხმო მაგალითი.

სამარყანდში მწვრთნელად მუშაობს წარსულში ცნობილი მოკრივე ა. პანარინი. მის განკარგულებაშია ერთი ცუდად მოწყობილი დარბაზი, რომელიც კრივისთვის განკუთვნილი როდია. მაგრამ პანარინმა ამ პირობებშიც შეძლო გამოეზარდა რამდენიმე საერთაშორისო კლასის მოკრივე, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა — ნ. ანფიმოვმა წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა.

და მაინც, არ ვიქნებით გულახდილნი, თუ არ აღვნიშნეთ ერთი გარემოებაც: საქართველოში ამჟამად კრივის გეოგრაფია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. კრივის სექციები მუშაობს ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, სამხრეთ ოსეთში, ფოთში და სხვა ქალაქებში. მათ უეჭველად მზრუნველი ხელი სჭირდება, რათა კვლავ აღორძინდეს ჩვენში სპორტის ეს რაინდული სახეობა.

ა. გოლდშტეინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

## რაიონებში სპორტქრონიკა

### ✦ თელავი

ჩატარდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში იუნიორ ათლეტთა შორის. ჩემპიონები გახდნენ: გ. პარწიკანაშვილი, გ. ნონიკაშვილი, ვ. ვეფხიშვილი, შ. ტეტიაშვილი, გ. ნინოშვილი, ნ. ვალიევი, ი. მაისურაძე, ა. დილმელაშვილი. პირველობა კარგად იყო მოწყობილი.

• • •

საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი, ოსტატი თ. კიკიანი შეხვდა რამდენიმე საწარმო-დაწესებულების მოჭადრაკეებს, რომელთაც წაუკითხა ლექცია თემაზე: „ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩი". და ერთდროული თამაშის სეანსებიც ჩაუტარა მანვე ილაპარაკა 1-ბასკი — ფიშერის მატჩზე.

ს. ოხანაშვილი.

### ✦ ჩხოროწყუ

ხუთ დღეს მიმდინარეობდა რაიონის პირველობა ხელბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 გუნდი. ტურნირი დაუმარცხებლად განვლო კიროვის სახელობის ლესიჭინის კოლმეურნეობის გუნდმა. II ადგილზეა ლენინის სახელობის ჩხოროწყუს კოლმეურნეობის კოლექტივი, ხოლო III — მარქსის სახელობის ნაფიჩხოვოს კოლმეურნეობის გუნდი.

• • •

ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატის მოედანზე გაიმართა სკოლის პირველობა კალათბურთში. I ადგილი დაიკავეს VIII კლასის მოსწავლეებმა. მაგიდის ჩოგბურთელ გოგონათა შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა სკოლა-ინტერნატის VIII კლასის მოსწავლე ი. გრიგოლაიამ.

ს. ჯალაღონია.





## ისვენებენ, ჭადრაობენ...

შავი ზღვის სანაპიროზე ათასობით საბჭოთა მშრომელი ატარებს შვებულებას. დასვენების დღეებში სპორტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აი, ახლაც, კურორტ მახინჯაურში სანატორიუმ „მახინჯაურის" დამსვენებელთა ერთი ჯგუფი ჭადრაკის თამაშით ერთობა.

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის პიონერთა ბანაკში (მწვანე კონცხი) ამ ზაფხულს ათასობით მოსწავლემ დაისვენა და სხეული გაიკაჟა. სპორტის სხვა სახეობებთან ერთად ბავშვები ჭადრაკით და შაშითაც ძალიან იყვნენ გატაცებული. ამ სურათზეც ნორჩების შეჯიბრების ერთ მომენტს ხედავთ.

ვ. გოგაძის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიზნისკენ...
ც. ფცქიალაძის ფოტო.

## ფეხბურთით დაინტ. / რაგბი

# თბილისის „ლოკომოტივი" რეკორდს ამყარებს

სსრ კავშირის ჩემპიონატი — რაგბი 72

საკავშირო ჩემპიონატის წინა ორ მატჩში ბოლო წუთებზე დასანანი წაგებით თბილისის „ლოკომოტივმა" საგრძნობლად გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა, გამოეთხოვა ერთპიროვნულ ლიდერობას და III ადგილზე გადაინაცვლა.

27 აგვისტოს მოსკოვის „ბურევესტნიკის" სტადიონზე გამართულ მატჩს საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტებთან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, თბილისელები 2 ქულის მოპოვებით მტკიცედ იმკვიდრებდნენ ადგილს ლიდერთა სამეულში, მეორეც, მოგების შემთხვევაში რევანშს აიღებდნენ პირველ წრეში დამარცხებისთვის და ბოლოს, საკავშირო ჩემპიონატის უცვლელი პრიზიორები — მოსკოველი სტუდენტები „ლოკომოტივის" ტრადიციული „უხერხული" მეტოქეები არიან და საკავშირო ჩემპიონატის არც ერთი კალენდარული მატჩი ქართველ სპორტსმენებს მათთვის მანამდე არ მოუგიათ.

ლოკომოტიველებმა ტემპიანი და კომბინაციური თამაშით ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს და ანგარიშიც გახსნეს. მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა შეტევის ნაცვლად ბურთი შერკინებაში შეაჩერეს, იერიშში კარგად ჩაერთო თავისუფალ მდგომარეობაში მყოფი აბაშიძე, რომელმაც არეკნით ძლიერად და ზუსტად დაარტყა — 3:0. მოსკოველები ორიოდე წუთში ახერხებენ ანგარიშის გათანაბრებას: ნოვიკოვს უტევდა ჯაფარიძე, მსაჯმა მისი შეტევა დარღვევად მიიჩნია და კოშინს არ გასჭირვებია ახლოდან კარის ძელებს შორის ბურთის გატარება — 3:3.

თბილისელთა ნახევარმცველები ხშირად უტოვებდნენ ღია ადგილებს თავდამსხმელებს შეტევის დასაგვირგვინებლად, მაგრამ მოსკოველები დაცვაში თავგანწირულად თამაშობდნენ, თუმცა ეს მონდომება ხშირად უხეშობაშიც გადადიოდა. ამისთვის ისინი დაისაჯნენ კიდეც, როცა „ლოკომოტივის" თავდამსხმელთა შეტევა ბენდიაშვილის მოცელვით დაამთავრეს. აქ კვლავ გამოიჩინა თავი აბაშიძემ: მან საკმაოდ ძნელი მდგომარეობიდან გაიტანა საჯარიმო — 6:3.

თითქოს ამ მომენტს უცდიდაო, კოკისპირული წვიმა წამოვიდა და მალე მინდორი ატალახებულ გუბედ იქცა.

მოსკოველები დაცვის ხაზს უკან გამუდმებული ჩაკიდებით ცდილობდნენ მოპირდაპირე მცველთა სულ პატარა შეცდომაც კი გამოეყენებინათ. განუწყვეტელი წვიმით ატალახებული მინდორი სისწრაფეს ანელებდა, ტექნიკური და ხელით თამაშის მოყვარული თბილისელებისთვის სველი ბურთი ძნელად დასამორჩილებელი იყო, ამიტომ რკინიგზელმა რეგბისტებმა უსიამოვნო მოულოდნელობის თავიდან აცილების მიზნით უპირველეს ყოვლისა დაცვის რიგების გამაგრებისთვის იზრუნეს და ტრადიციული ერთი ჩამკეტის ნაცვლად ორით დაიწყეს თამაში. ამას გარდა, ნახევარდაცვის ხაზიდან უკან დაიხია თენგიზ რუხაძემ. ამ ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა სარგებლობა მოუტანა რკინიგზელებს, ვინაიდან ჩაკიდებულ ბურთს მცველები გიორგაძე და თენგიზ რუხაძე სწორად იგერიებდნენ და ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებდნენ შეტევისთვის.

თბილისელებმა ძლიერად და დამაჯერებლად ჩაატარეს მეორე ნახევარი, გამოავლინეს ბურთის ფლობისა და გადაცემის მაღალი ტექნიკა, მანევრირების კარგი უნარი და მატჩის ხსნის არავითარი იმედი არ დაუტოვეს მეტოქეს. რამდენიმე ეპიზოდური შეტევის გარდა, მასპინძლებმა ფაქტიურად ვერაფერი მოახერხეს თბილისელთა კართან.

აღსანიშნავია, რომ ამ გამარჯვებით თბილისის „ლოკომოტივის" რეგბისტებმა თავისებური რეკორდი დაამყარეს: სტუმრად ჩატარებული ექვსივე შეხვედრა მოიგეს.

**რ. აიწურაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი.

# ზაიჩიკმა სპეციალური პრიზი მიიღო

უკრაინის ქალაქ ხმელნიცკში დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატი, რომელშიც 14 კაცი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა მინსკელმა ოსტატმა ვ. კუპრეიჩიკმა — 11 ქულა. II ადგილზეა ალმაათელი ოსტატი ა. სინიავსკი — 9, III — მოსკოველი ოსტატი ს. სოკოლოვი — 8.

თბილისელი ოსტატობის კანდიდატი, 15 წლის გ. ზაიჩიკი VI ადგილზეა. ახალგაზრდა მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო შედეგისთვის მას სპეციალური პრიზი გადაეცა.

გ. ზაიჩიკმა და კიდევ სამმა მოჭადრაკემ მოიპოვეს „დინამოს" ცენტრალური საბჭოს საგაისო საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალში მონაწილეობის პერსონალური უფლება.

ტურნირის შემდეგ გამართულ ელვისებური თამაშის შეჯიბრებაში ჭაბუკმა თბილისელმა მოჭადრაკემ II ადგილი დაიკავა (I ადგილზეა ა. სინიავსკი).

**ნ. სოროკინი,**
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ხმელნიცკი.

# დიდოსტატი სტუმრად სურამში

## ჭადრაკი

ამ დღეებში სურამის მინის ტარის ქარხნის მშრომელებმა შეხვედრა მოუწყვეს ჭადრაკში პირველ ქართველ დიდოსტატს ბ. გურგენიძეს. შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. გურეშიძემ. სიტყვა წარმოთქვა ქარხნის უფროსმა ეკონომისტმა ნ. ბოჟაძემ. დიდოსტატმა გურგენიძემ პასუხი გასცა დამსწრეთა შეკითხვებზე.

ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ე. ახვლედიანმა სტუმარს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

დასასრულს დიდოსტატმა ათ დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსი გამართა. გაიმარჯვა ქარხნის მთავარმა ბუღალტერმა ს. გრძელიშვილმა, ყაიმს მიაღწია ე. ახვლედიანმა. დანარჩენი მოჭადრაკეები დამარცხდნენ.

**შ. სიამაშვილი,**
სურამის მინის ტარის ქარხნის ფიზკულტურის მეთოდისტი.

# მანდილოსნები საჭიდაო სარბიელზე

1968 წლის 20 თებერვალს გაზეთ „ლელოს" ფურცლებზე გამოქვეყნდა ზ. ჯავახიშვილის წერილი სათაურით „მანდილოსანი ფალავნები". ავტორი გვიამბობს მოჭიდავე ქალთა გუნდების ორი ფოტოსურათის შესახებ მიუხედავად ავტორის ცდისა, ვერ დადგინდა, ვინ იყო აღბეჭდილი სურათებზე.

საყურადღებოა, რომ ქალთა ჩემპიონატები ფრანგულ, იგივე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში იმართებოდა როგორც რუსეთის, ისე კავკასიის ყველა დიდ ქალაქში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ქუთაისი წარმოადგენდა.

1917 წლის მაისის პირველ დეკადაში ჩვენს ქალაქს თბილისიდან სტუმრად სწვევია ძმები ეფიმოვების ცირკი, რომლის გასტროლები ორ თვეს გაგრძელებულა. ცირკის პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესო იყო, სადაც მთავარი ყურადღება ჭიდაობას ეთმობოდა. ქუთაისის ცირკის არენაზე უჭიდავიათ საქვეყნოდ აღიარებულ მანდილოსან ფალავნებსაც. ამასთან დაკავშირებით 1917 წლის ქუთაისის საქალაქო გაზეთებში „ჩვენი ქვეყანა" და „ჩვენი მეგობარი" ფრიად საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი.

1917 წლის 24 მაისის გაზეთში „ჩვენი ქვეყანა" ვკითხულობთ: „ოთხი დღით საერთაშორისო ჩემპიონ ქალთა ფრანგული ჭიდაობა.

დღეს იჭიდავებს სამი წყვილი.

1. იტალიის ჩემპიონი ქალი ბელანი, წინააღმდეგ ბულგარეთის ჩემპიონისა ქალის დემატულისა.

2. წყვილი ლონე ხერხის წინააღმდეგ. ვინ ვის? ქალი რომანოვისა ჩემპიონი მთელი ქვეყნის წინააღმდეგ შვეციის ჩემპიონისა ქალის აზელკტოკისა.

3. წყვილი ლიტვის ჩემპიონი ქალი მანკოს წინააღმდეგ თურქესტანის ჩემპიონ ქალისა სულეიმანისა".

ზემოაღნიშნულთა გარდა, ამ პერიოდში ქუთაისის ცირკის სტუმრები იყვნენ და მაყურებელს თავიანთ ოსტატობას უჩვენებდნენ ცნობილი მანდილოსანი ფალავნები: ბალტიისპირეთის ჩემპიონი რობისტონი, პოლონეთის ჩემპიონი ანალამა, ციმბირის ჩემპიონი „სიბირიაჩკა", დანიის ჩემპიონი პეტერსონი და სხვ.

ბუნებრივია, მათი შეხვედრები მუდამ ყურადღების ცენტრში იყო და ცირკსაც დიდძალი ხალხი აწყდებოდა.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, როგორი იყო მაშინდელი ჭიდაობის პირობები, რა ილეთებს იყენებდნენ ნანდილოსნები და ა. შ.

ზემოხსენებული ქუთაისის საქალაქო გაზეთები ძუნწ, მაგრამ ფრიად საინტერესო ორ პატარა ინფორმაციას გვაწვდიან ქალთა ჭიდაობაზე.

1917 წლის 3 ივნისს გაზეთი „ჩვენი მეგობარი" წერდა:

„ჩემპიონატის მე-12 დღეს კენჭის ყრით ჭიდაობდა სამი წყვილი. 1 წყვილში რომანოვის ქალმა 14 წამის განმავლობაში ხერხით „ტურ-დე ანშ"-ს მოერია ანატემას (მცირე აზიის ჩემპიონს). მეორე წყვილში „წითელი მასკა" გამოვიდა ქალთა ჩემპიონის რიურიკის წინააღმდეგ. მასკა, როგორც ვხედავთ, შეცდა თავის ანგარიშში და ვერ გაამართლა თავისი იმედები. ეგონა ჩქარა გაიმარჯვებდა ქალთა მოჭიდავე რიურიკთან. მიუხედავად თავისი სიმჩატისა, რიურიკი ხშირად აყენებდა მასკას საშიშ გასაჭირ მდგომარეობაში, მაგრამ მასკის პირაღმა დამარცხება ვერ შესძლო თავის სიმჩატის გამო. დაუსვენებელი ჭიდაობის.. შემდეგ მასკამ მოიკრიბა მთელი თავისი ღონე, გადაიყვანა რიურიკი პარტერში და ჩქარი ხერხით, მთელი ზურგით დაანარცხა მიწაზე.

მე-3 წყვილში სულეიმანი ადვილად გაუმკლავდა თავის მოპირდაპირე „სიბირიაჩკას", ოთხ წამში მოერია მას".

როგორც ირკვევა, მოჭიდავეთა შეხვედრები წინასწარი კენჭისყრით ეწყობოდა. საყურადღებოა, რომ ქალები ძლიერ მეტოქეობას უწევდნენ კაცებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „წითელი მასკა" შეხვდა რიურიკის ქალს. ქუთაისის სპორტულ მუზეუმში დაცული მასალებით ირკვევა, რომ „წითელი მასკის" სახელით ამ ქალაქში ჭიდაობდა ცნობილი ფალავანი, ევროპის ჩემპიონი ი. ტიგანე.

ტიგანე ხშირად გამოდიოდა საჭიდაო სარბიელზე ქალების წინააღმდეგ. ამას ადასტურებს 1917 წლის ქუთაისის საქალაქო გაზეთი „ჩვენი ქვეყანა", რომელშიც ვკითხულობთ:

„სპორტი და სანახაობა.

ძმ. ეფიმოვების ცირკი, ქალთა საერთაშორისო ჩემპიონატის მე-10 დღე, 30 მაისი.

პირველ წყვილში ჭიდაობენ ქ-ნი ანატემა და ქ-ნი სულეიმანი. ორივე მოწინააღმდეგე თანაბარი ტექნიკისა და ღონის აღმოჩნდნენ, მაგრამ გამარჯვება მაინც ქ-ნ სულეიმანს დარჩა მესამე წუთზე ორმაგი ნელსონით. ფრიად საინტერესო იყო მე-2 წყვილი წითელი ნიღაბოსანი კაცი ქ. იანკოვსკაიას (პოლონეთის ჩემპიონის) წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ წითელ ნიღაბოსანს მდიდარი ტექნიკა აქვს და ღონიერი, გამოცდილი მოჭიდავეა, ქ-ონ იანკოვსკაიამ ბევრჯერ გაუჭირვა საქმე მოწინააღმდეგეს, რადგან ქალი უფრო ხშირად ძლევდა ნიღაბოსანს. ყველას ეგონა, რომ იანკოვსკაია გაიმარჯვებდა, მაგრამ მოულოდნელად ნიღაბოსანმა ტურდეტეტზე დაიჭირა. ამ ფანდს ვერ დააღწია თავი იანკოვსკაიამ და 11 წამის ჭიდაობის შემდეგ წაქცეულ იქნა. საჭიროა მოხდეს რევანში ამ მოჭიდავეებს შორის. მე-3 წყვილში ქ-ნმ აზელკტოკმ (შვეცია) 4 წამში წააქცია ქ-ნი რობისტონი (პრიბალტიკის ჩემპიონი).

როგორც პრესის ფურცლებიდან ირკვევა, კაცების შეხვედრა მანდილოსნებთან ხშირ შემთხვევაში მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა სასარგებლოდ მიმდინარეობდა და კაცებს გამარჯვება მხოლოდ დიდი გამოცდილების, ნებისყოფისა და დაძაბვის ფასად რჩებოდათ.

ჩვენი აზრით, რაც უნდა ძალისა ყოფილიყვნენ მანდილოსანი ფალავნები, ისინი უმწეონი იქნებოდნენ კაცთა წინაშე. ეს იყო, შეიძლება ითქვას, ცირკის ხელმძღვანელთა თავისებური ტრიუკი, რომლითაც ეს უკანასკნელნი მაყურებლის მიზიდვას და ამით შემოსავლის გაზრდას ცდილობდნენ.

ჭიდაობის დაწყების წინ ხდებოდა წინასწარი მოლაპარაკება ცირკის ხელმძღვანელობასა და მოჭიდავეებს შორის. რა ექმა უნდა, მოჭიდავე კაცები ამისთვის გარკვეულ გასამრჯელოს ღებულობდნენ.

ქუთაისის ცირკის არენაზე „წითელი ნიღაბი" შეხვედრია სახელმოხვეჭილ მოჭიდავე მანდილოსნებს, მათ შორის, რუმინეთის ჩემპიონს დემეტრესკოს, ევროპის ჩემპიონს რომანოვას, ცნობილი ფალავნის ნ ვახტუროვის დას ვახტუროვას და სხვ.

ქალთა სხვა შეხვედრებიდან აღსანიშნავია ვახტუროვა — მანკოს, იანკოვსკაია — რიურიკის, აზელკტოკ — დემერელის, რომანოვა — რიურიკის, პეტერსონ — დემეტრესკოს და სხვათა ჭიდაობა.

პრესის ფურცლებიდან თუ შემონახული მასალებით საბოლოოდ არ ირკვევა, მაინც ვინ იყო ყველაზე ძლიერი ფალავანი. ჩვენი აზრით, ქალთა შორის უძლიერესად გერმანელი ქალი, მსოფლიოს ჩემპიონი ფრიდა დამბერგი ითვლება. ფრიდა ქუთაისის ხშირი სტუმარი იყო და გამარჯვებით არაერთხელ აღუფრთოვანებია მასპინძლები. მას ბევრ ტურნირში გაუმარჯვნია. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1911 წლის თბილისში ჩატარებული ქალთა ჩემპიონატი, სადაც ფრიდამ ყველა მეტოქე დაამარცხა, ხოლო ფინალში თხუთმეტ წუთში სძლია ესპანეთის ჩემპიონს ჰორალდს.

აღსანიშნავია, რომ 1917 წელს ქუთაისის ცირკში ქალთა ჩემპიონატს ხელმძღვანელობდა ცნობილი ზანგი მოჭიდავე ჯოემორა, რომელსაც არაერთი სახელოვანი ფალავანი აღუზრდია, მათ შორის, კოლია ქვარიანი.

იმედია, ამ წერილს გამოეხმაურებიან სპორტის მოყვარულები და საყურადღებო მასალებს მოგვაწვდიან მოჭიდავე ქალთა ტურნირებთან დაკავშირებით.

**ზ. ჯავახაძე.**
ქუთაისი.

## თასები — მოსკოველებს

სოჭი. 29 აგვისტო. აქ სამ დღეს გაგრძელდა სსრ კავშირის თასების გათამაშებათა ფინალური ნაწილი ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის.

ქალებში ეს საპატიო პრიზი ცსკა-მ მოიგო. II ადგილზეა ტაშკენტის „ავტომობილისტი", ხოლო III — ოდესის „ბურევესტნიკი".

ვაჟთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა მოსკოვის „ბურევესტნიკმა". II ადგილი დაიკავა კიევის „ლოკომოტივმა", III — რიგის „რადიოტექნიკამ".

**რედაქტორი მ. ჭაჭაბაძე.**

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

30 აგვისტო
სსრ კავშირის პირველობა
(II ლიგის III ზონა)
„გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ბათუმი)
დასაწყისი 19 ს.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-61, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97-62, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 65, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97-63, ფეხბურთის განყოფილება — 99 81-71, 93 97-66, ჭადრაკის განყოფილება — 93 97 67, წერილების განყოფილება — 93 97-64, მემანქანეთა ბიურო — 93 97 69, ფოტოლაბორატორია — 93 97-68, გამომშვები — 93 93 81, კორექტორები — 93 97-49.